სსიპ
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
16.12.2010 წ. 168
№
თბილისი

ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთათვის
პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნის წესის
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის“ ქვეპროგრამის - „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 14 დეკემბრის N954 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 15 დეკემბრის N370 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, დაენიშნოთ პრეზიდენტის 150-ლარიანი სტიპენდია 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან 2011 წლის პირველ იანვრამდე – 3 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. პრეზიდენტის სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ (იხ. დანართი);
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2009–2010 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით აქვთ მაღალი რეიტინგი, 90%-ზე მეტი, შეიძლება დაენიშნოთ პრეზიდენტის სტიპენდია;
4. პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;
6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან (2010 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით);

სამშენებლო ფაკულტეტი – 16 სტუდენტი;
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 23 სტუდენტი;
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 8 სტუდენტი;
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 17 სტუდენტი;
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 24 სტუდენტი;
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 5 სტუდენტი;
ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი – 59 სტუდენტი;
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 42 სტუდენტი;

7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ.მაისურაძე*